

შპს „ვარციხე 2005“

სათავე ნაგებობის, ჰესი #1,2,3,4-ის ამწე მექანიზმების და სტაციონალური ამწე მექანიზმების (22 ერთეული) კომპლექტაცია-სერტიფიცირება

ტექნიკური დავალება

1. ზოგადი დახასიათება

ვარციხე ჰესების კასკადში სულ დამონტაჟებული არის 22 ერთეული ამწე მოწყობილობა, კერძოდ:

1) ჰესი #1 - ჯოჯგინა ამწე 140/2*10 ტმ., ჯოჯგინა ამწე 2*25 ტმ., ხიდურა ამწე 160/32 ტმ., უქმი წყალსაშვის სტაციონალური ამწე - 2*25 ტმ. (2 ერთეული);

2) ჰესი #2 - ჯოჯგინა ამწე 140/2*10 ტმ., ჯოჯგინა ამწე 2*25 ტმ., ხიდურა ამწე 125/20 ტმ., უქმი წყალსაშვის სტაციონალური ამწე - 2*25 ტმ. (2 ერთეული);

2) ჰესი #3 - ჯოჯგინა ამწე 140/2*10 ტმ., ჯოჯგინა ამწე 2*25 ტმ., ხიდურა ამწე 125/20 ტმ., უქმი წყალსაშვის სტაციონალური ამწე - 2*25 ტმ. (2 ერთეული);

2) ჰესი #4 - ჯოჯგინა ამწე 140/2*10 ტმ., ჯოჯგინა ამწე 2*25 ტმ., ხიდურა ამწე 125/20 ტმ., უქმი წყალსაშვის სტაციონალური ამწე - 2*25 ტმ. (2 ერთეული);

5) სათავე ნაგებობა - ჯოჯგინა ამწე 2*62,5 ტმ., ჯოჯგინა ამწე 2*15 ტმ., ჯოჯგინა ამწე 2*50 ტმ..

აღნიშნული ამწეები ექსპლუატაციაში შეყვანილი იქნა 1975 - 1988 წწ. სათავე ნაგებობაზე ამწეები ემსახურებიან წყალმიმღების, გალერეების და სარემონტო ფარებს, ჰესებზე - სარემონტო ფარებს (ჯოჯგინა ამწეები), სამანქანო დარბაზში (ხიდურა ანწე) მოწყობილობების და კვანძების მომსახურებას (3/აგრეგატის კაპ.შეკეთების დროს) და უქმი წყალსაშვი ფარების ოპერირებას (სტაც. მექანიზმები).

2023 წელს ჩატარებული იქნა აღნიშნული მოწყობილობა-დანადგარების ნაწილობრივი კომპლექტაცია და ჩაუტარადა სერტიფიცირება. სერტიფიკატი ამწეების დაშვებაზე გაცემული იქნა 3 წლით და 2026 წელს საჭიროა ისევ აღნიშნული მოწყობილობების გამოცდა და სერტიფიცირების ჩატარება.

ამჟამად განვლილი საექსპლუატაციო პერიოდიდან გამომდინარე საჭიროა აღნიშნული ამწე მოწყობილობების მორიგე დიაგნოსტიკური სამუშაოების და გამოცდების ჩატარება ამწეების შემდგომი საექსპლუატაციო ვადის და შემდგომ ექსპლუატაციაში დაშვებისათვის.

2. სამუშაოს მოცულობა.

სამუშაო მოცულობაში ითვალისწინებს:

- ამწეების მეტალოკონსტრუქციების დათვალიერება-რევიზია მთლიანობაზე, ბზარების არსებობაზე, დეფორმაციაზე, კოროზიის კერებზე - ვიზუალურად ან/და ტექნიკური საშუალებებით;
- სავალი ნაწილის რევიზია;
- ამძრავების, რედუქტორების, ურიკების რევიზია;
- მუხრუჭების რევიზია - შემოწმება;
- ძალოვანი და მეორადი წრედების რევიზია;

- ბაგირების და დოლურების რევიზია, ბაგირების შემოწმება მთლიანობაზე;
- მართვის საკომუტაციო მოწყობილობების რევიზია-შემოწმება;
- ამწეების სტატიკური გამოცდის ჩატარება;
- ამწეების დინამიური გამოცდების ჩატარება.

3. მოთხოვნები.

- სამუშაოები ჩატარება ხორციელდება საწარმოს მუშა რეჟიმის დროს - სამუშაოების გრაფიკი და ჩატარების პირობები წინასწარ უნდა შეთანხმდეს დამკვეთთან;
- სამუშაოების შემსრულებელი უნდა იყოს აღნიშნული სახის სამუშაოების ჩატარების გამოცდილების მქონე კვალიფიციური ორგანიზაცია;
- ყველა დამატებითი პირობები წინასწარ უნდა შეთანხმდეს დამკვეთთან;
- სამუშაოების ჩატარების შემდეგ დამკვეთს უნდა გადაეცეს თითოეულ ობიექტზე სამუშაოს შესრულების აქტი (დასკვნებით და რეკომენდაციებით).

შპს „ვარციხე 2005“-ის ადმინისტრაცია